



საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლა

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
ფილოლოგია

ხელნაწერის უფლებით

იამზე ფუტკარაძე

შინაურ ცხოველებთან დაკავშირებული ქართველური ლექსიკის გავრცელების გეოგრაფია

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომის

სადისერტაციო მაცნე

0232.1.3 ფილოლოგია

თბილისი
2020

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლაში.

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

თეიმურაზ გვანცელაძე - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ოფიციალური შემფასებლები:

მანანა ტაბიძე - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

მერაბ ბერიძე - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

დისერტაციის დაცვა შედგება 2020 წლის 11 მაისს, 16:00 საათზე, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის სადისერტაციო საბჭოს ფილოლოგიის სექციის სადისერტაციო კომისიის სხდომაზე. საგანგებო მდგომარეობის პირობებში დისერტაციის დაცვა ჩატარდება ონლაინ რეჟიმში, დისტანციურად. საჯარო დაცვის პროცესში მონაწილეობა შესაძლებელია შემდეგი ბმულის საშუალებით: <https://zoom.us/j/8978585107>

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 2020 წლის „_____“ _____

სადისერტაციო საბჭოს ფილოლოგიის სექციის სწავლული მდივანი, ფილოლოგიის დოქტორი,
ნინო მამარდაშვილი

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალურობა

მეცხოველეობასთან დაკავშირებული ლექსიკის კვლევა აქტუალურია, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ მიმდინარეობს ურბანიზაცია, დავიწყებას ეძლევა მეურნეობისა და ტექნოლოგიის ეროვნული ტრადიციები, ქართულ სალიტერატურო ენასა და ქართველურ დიალექტებზე ძლიერდება უცხოენობრივი გავლენა, რაც იწვევს ლექსიკის ამ უძველესი დარგის დაჩქარებულ გასვლას ხმარებიდან. მიუხედავად იმისა, რომ ქართველ ენათმეცნიერთა რამდენიმე თაობამ თავდადებით იღვაწა და სოფელ-სოფელ აღნუსხა ქართველური დიალექტების ლექსიკა, ჯერ კიდევ არ გვაქვს ყველა დიალექტის სრული ლექსიკონები, მეტიც, ზოგი დიალექტის ლექსიკონები ჯერაც არ შედგენილა და ცალკე წიგნებად არ გამოცემულა. იგივე ითქმის დიალექტური ტექსტების კორპუსის შესახებაც: ზოგი დიალექტის კორპუსი საკმაოდ სრულად არსებობს, ზოგისა - ახლა დგება. დრო კი არ ითმენს: თითქმის ყოველდღე იკარგება ლექსიკის დიდ-დიდი ჯგუფები, მათ შორის მესაქონლეობის ლექსიკაც.

კვლევის ძირითადი მიზნები და ამოცანები

კვლევის ძირითადი მიზანი იყო ნაბეჭდ სამეცნიერო წყაროებში მესაქონლეობის ქართველური დიალექტური ლექსიკის მოძიება, კლასიფიცირება ქვედარგებად და იმის მიხედვით, რომელ ტიპს განეკუთვნებიან კონკრეტული დიალექტური

სიტყვები: საერთოქართველური წარმომავლობის ლექსიკის ფონეტიკურ-მორფოლოგიურ თუ სემანტიკურ ვარიანტებს, მხოლოდ თითო-ორი დიალექტში გავრცელებულ ლოკალურ სიტყვებს, ერთი ცნების აღმნიშვნელ გეოგრაფიულად განტოტვილ სინონიმებს, თუ ნასესხებ ლექსიკას. გარდა ამისა, მთავარი მიზანი იყო ყოველი კონკრეტული სიტყვის დიალექტებში გავრცელების შეძლებისდაგვარად ზუსტი სურათის დადგენა და ამ საფუძველზე მესაქონლეობის ძირითად ტერმინთა გავრცელების გეოგრაფიის ამსახველი საცდელი რუკებისა და ცხრილების შედგენა.

კვლევის ამოცანები განისაზღვრა ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე: საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურისა და წყაროების დამუშავება და ემპირიული მასალის ამოწერა; სავსე სამუშაოები ახალი მასალის მოსაპოვებლად; მასალის კლასიფიცირება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით; სიტყვათა გავრცელების გეოგრაფიის დადგენა.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

სადოქტორო ნაშრომი არის **პირველი ცდა**, მომზადდეს ნიადაგი ერთი კონკრეტული დარგის, კერძოდ, მესაქონლეობის ლექსიკის დიალექტოლოგიური ატლასის შესადგენად. მასში კომპლექსურად არის გაანალიზებული დიალექტებში დაცული მეცხოველეობის ლექსიკა. გამოვლენილია ის თავისებურებანი, რაც ამ ლექსიკას ახასიათებს. შედგენილ იქნა სამი სახის რუკა: 1. საქართველოს საზღვრებში მოქცეული დიალექტების მიხედვით; 2. თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქცეული ქართული ენის დიალექტების მიხედვით; 3. ფერეიდნული და ინგილოური დიალექტების მიხედვით.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

საკითხის შესწავლისას გამოყენებულია **აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი მეთოდები**, კვლევის პროცესში, ჩვენ მიერ დასახული მიზნის განსახორციელებლად გამოვიყენეთ ასევე, **კარტოგრაფირების ხერხი**. აღნიშნული მეთოდებით მიღებულმა შედეგმა შეაფასო საკვლევი საკითხი, რაც დაგვეხმარა კიდევ ჩვენ მიერ დასახული მიზნის განხორციელებაში.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება

კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნეს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე, როგორც დამხმარე საენათმეცნიერო მასალა ისტორიული და ეთნოლოგიური დისციპლინებისთვის. კონკრეტული და ზოგადი დასკვნები გარკვეულ სამსახურს გაუწევს ამ მიმართულებით მომუშავე და ზოგადად ამ საკითხით დაინტერესებულ მკვლევრებს.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

კვლევის მიზნებისა და დასახული ამოცანების შესაბამისად არის წარმოდგენილი ნაშრომის სტრუქტურაც, კერძოდ: სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, წინასიტყვაობის, რვა თავის, დასკვნების, დამოწმებული სამეცნიერო ლიტერატურის სიისა და ორი დანართისაგან.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

შესავალი

ქართული ენის დიალექტებში მდიდრულადაა ასახული მესაქონლეობასთან დაკავშირებული ლექსიკა, რომელშიც წარმოდგენილია მრავალი ისეთი სიტყვა, რომლებიც თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში აღარ გვხვდება, ანდა სერიოზული ფონეტიკურ-მორფოლოგიური ან სემანტიკური ცვლილებები აქვთ განცდილი. მათი დიდი ნაწილი არაა შეტანილი არც განმარტებით ლექსიკონებში, მაგრამ დღემდე სათანადოდ დაუცავს ქართველურ დიალექტებს.

მეცხოველეობასთან დაკავშირებული ქართველური ლექსიკა მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს ჩვენი ქვეყნის კულტურულ-რელიგიური თუ სოციალური კუთხით, გარდა იმისა, რომ საენათმეცნიერო და ეთნოლოგიური ლიტერატურიდან, დიალექტოლოგიური ლექსიკონებიდან ამოკრებილი სანდო მასალა საყურადღებოა დიალექტოლოგიური ატლასისთვის, ისტორიული, ეთნოლოგიური, რელიგიური, სოციალური, ლინგვისტური და სხვა თვალსაზრისით, შესაძლებელია ასევე კონკრეტულ გეოგრაფიულ პუნქტში გავრცელებული ლინგვისტური მასალების საფუძველზე გაირკვეს, თუ ვის უცხოვრია თავდაპირველად მოცემულ ადგილას და სხვ.

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ წამოიჭრა საკითხი დიალექტოლოგიური ატლასის შედგენის საჭიროების შესახებ. ამ მიმართულებით გადადგმული პირველი მოსამზადებელი ნაბიჯი იყო 1961 წელს გამოცემული ივ. გიგინეიშვილის, ვ. თოფურიასა და ივ. ქავთარაძის მიერ შედგენილი დიალექტური ტექსტების ვრცელი კრებული „ქართული დიალექტოლოგია I“, მაგრამ მისი გაგრძელება აღარ დაბეჭდილა. ასევე მნიშვნელოვანი იყო ბ. ჯორბენაძის წიგნები: „ქართული დიალექტოლოგია“ 2 წიგნად და

„ქართველური დიალექტები“. გარდა ამისა, უკვე რამდენიმე ათწლეულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის კოორდინირებით ყოველწლიურად ტარდება დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიები, მაგრამ, სამწუხაროდ, დიალექტოლოგიური ატლასის შედგენის საქმე ადგილიდან არ იძვრის მეცნიერთაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მაგრამ ამ მიმართულებით თეორიულ-სამეცნიერო ნიადაგის მზადება გადაუდებელი საქმეა. ჩვენი ნაშრომის მოკრძალებული მიზანი ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯის გადადგმა იყო, კერძოდ, **ნაბეჭდი გამოცემების** მონაცემების საფუძველზე ქართველურ დიალექტებში მესაქონლეობის ლექსიკის გავრცელების გეოგრაფიულ თავისებურებათა აღწერა.

თავი I

საქონლის სქესობრივ-ასაკობრივი დაყოფის ამსახველი ლექსიკის გავრცელების გეოგრაფია

ნაშრომის **პირველ თავში** წარმოდგენილია საქონლის სქესობრივ-ასაკობრივი დაყოფის ამსახველი ლექსიკის გავრცელების გეოგრაფია. გაანალიზებულია ქართული ენის დიალექტებში შინაური ცხოველის ზოგადი სახელწოდებები: **საქონელი, პირუტყვი, ჩომა, ბღავილა, მოშენე, საცხოვარი, ცხოველი**. მაგალითად: ძველქართულ ტექსტებში შინაური ცხოველის ზოგადი სახელი იყო **საცხოვარი**. გარკვეულ კონტექსტებში **საცხოვარი** ცხვრის სახელიც იყო. ზოგჯერ ტექსტის სხვადასხვა რედაქციაში **საცხოვარი** და **ცხოვარი** ერთმანეთს ენაცვლება და აქვთ ცხვრის სემანტიკა: **ცხოვარი** „საცხოვარი“; „დამწყსენ **ცხოვარნი** (საცხოვარნი C) ჩემნი“ (აბულაძე 1973: 379). მეცხოველეობა ხალხისთვის ცხოვრების მთავარი საშუალება იყო. ამიტომ ეწოდა შინაურ პირუტყვს ერთი ძირისაგან მომდინარე სახელები: სა-ცხოვ-არ-ი >ცხოვ-არ-ი >ცხოვ-

ელ-ი. შესაბამისად, **საცხოვარი** ზოგად სახელად დაერქვა იმ ცოცხალ არსებებს, შინაურ ცხოველებს, რომლებიც ადამიანის სიცოცხლეს უზრუნველყოფდნენ საკვებით. მაშასადამე, სიტყვა **საცხოვარი** მოტივირებული იყო შინაურ ცხოველთა ფუნქციით. რაც შეეხება სიტყვა **ცხოველს**, თავდაპირველად იგი ზედსართავი სახელი იყო და ცოცხალს ნიშნავდა. არქაულ ლიტერატურაში **ცხოველ** სიტყვის მნიშვნელობა გაფართოებულია და სულიერ სიცოცხლესაც (ქრისტიანობასაც) აღნიშნავდა: „უკუეთუ სულითა **ცხოველ** არს იგი“ - ამბობს წმ. შუშანიკი ვარსქენის შესახებ („წამებაი წმიდისა შუშანიკისი“). თანამედროვე ქართულში **ცხოველი** გაემიჯნა გონით, სიტყვის ძალმოსილებით გამორჩეულ ადამიანს და პირუტყვს დაუახლოვდა (ცოცხალს, ოღონდ არამეტყველს), თუმცა ცხოველსა და პირუტყვს შორისაც არის შინაარსობრივი სხვაობა: **ცხოველი** ზოგადად ითქმის როგორც შინაურ, ისე გარეულ არსებებზე, **პირუტყვი** კი უპირატესად - ადამიანისთვის სარგებლობით გამორჩეულ ხარ-ძროხასა და ხარ-კამეჩზე.

საქონლის სქესობრივ-ასაკობრივი დიფერენციაციის ამსახველი ლექსიკის ნაწილი ადის საერთოქართველურ ენობრივ დონემდე, ნაწილი ნასესხებია სხვა ენათაგან, ერთი ჯგუფის წარმომავლობა კი სარკვევია. როგორც ქართველური, ისე ნასესხები ლექსიკის გავრცელების გეოგრაფია სხვადასხვა სურათს გვიჩვენებს: ზოგი სიტყვა დიალექტების დიდ ჯგუფში გვხვდება, ზოგი კი ლოკალიზებულია ერთ, ან რამდენიმე დიალექტში. არის შემთხვევები, როცა ერთი და იგივე სიტყვა წარმოდგენილია ერთიმეორისაგან გეოგრაფიულად ძალზე დაშორებულ კილოებში, კუნძულაკების სახით. არცთუ იშვიათია მაგალითები, როცა ამა თუ იმ სახელის ფუძე, თითქმის უცვლელი ფონემური სახითა და უცვლელი სემანტიკით გვხვდება დიალექტთა უმრავლესობაში, მაგრამ ბევრად მეტია შემთხვევები, როცა ფუძე სხვადასხვაგვარი ბგერითი და სემანტიკური ვარიანტების სახითაა გავრცელებული დიალექტებში და ეს ბუნებრივია, ვინაიდან კილოები ნაკლებად არიან შებოჭილი ნორმების დაცვის ვალდებულებებით, ვიდრე სამწიგნობრო ენა.

მაგალითად, ბგერითი შედგენილობით სხვაობს საერთოქართველური **ცედ**- ძირისაგან მომდინარე შემდეგი სიტყვები: **მოცედი** „საფურე ძროხა“ (საბა 1991: 286); **მოცედი // მოცადი** „ერთი წლის ან ცოტა მეტი ხნის ხბო“, „წვრილფეხა სანაშენო საქონელი“ (კირიონი);

ქეგლის მიხედვით **მოცადი** არის „არასამუშაო საქონელი, მოზარდი ან ზრდადაუსრულებელი (ცხვარი, ძროხა) პირუტყვი“; **მოცადო** (ქსნის ხეობა) „2 წლის მოზვერი ან დეკეული“; **მოცვეთი** (აჭარ.) „ხზო 2-3 წლამდის; გადატ. დაღეული, ჩაჩანაკი, ძაბუნი“, „ზრდასრული მოზვერი“. **მოცვეთი** გვხვდება მუჰაჯირი ქართველების, კერძოდ, ინეგოლელთა მეტყველებაში: “შარშან ჩვენსას ერთი მოცვეთი მოკდენიან“. მ. ჩუხუას ვარაუდით, **ცედ-ძირის** ეტიმონური შინაარსი **ჭაკისა** იყო...

ძველ ტექსტებში გვხვდება ბერძნულიდან ნასესხები **დეაკეული** > **დიაკეული**, ახლა იგი გამოიყენება **დეკეული** „უშობელი, მოზრდილი დედალი ხზო“ ვარიანტის სახით და სხვადასხვაგვარი ფონეტიკური ფორმით გვხვდება დიალექტებში: ქართლ. **დეკეული** „დეკეული“; აჭარ. **დეკეული** // **დეკეული** // **დეკეული** „სამი წლის დედალი ხზო, უშობელი, მსხვილფეხა საქონელი“; ქართლ. **დეკნიკა** „საფურე ხზო წლამდი“; სვან. **დეკუილ** // **დეკულ** // **დეკუილ** „დეკეული“; იმავე სიტყვის ბევრად უფრო სახეცვლილი ვარიანტები გვაქვს ზოგ დიალექტში: იმერ. და გურ. **ჯაკელი** // **ჯაკელა** „ძროხა ორიდან სამ წლამდე, დეკეული“, მეგრ. **ჯაკელა** // **ჯაკელი** // **ჯაკეი** „დეკეული“, „სამი წლის დედალი ძროხა“. ამ ფორმებში **ჯ-დი** აფრიკატიზაციის ნიადაგზე. არსებობს სინონიმებიც: სვან. **ლაფერალ** „საფურე, საძროხე“; მთიულ. **წიქარა** „2 წლის დეკეული“. იმერ., გურ. **უშობელიც** „ზრდადაუსრულებელი ფური, რომელსაც ხზო ჯერ არ მოუგია“; ლეჩხ. **სამაკინო** „ზრდადამთავრებული დეკეული“, „უშობელი (3-4 წლის)“; იმერ. **ჯელკია** „მეორე წლის ხზო“...

საქონლის ასაკობრივი დაყოფის ამსახველი ლექსიკა, ანუ ნაშვიერთა სახელები მრავალ ლექსემას მოიცავს, რომლებიც განფენილია ყველა დიალექტში. მაგალითად: **ხზოს** აღმნიშვნელი ქართველური **ჯობ-** ძირი მრავალნაირ ფონეტიკურ ვარიანტებად არის წარმოდგენილი: ძველ ტექსტებში გვაქვს **ჯბოი** „ზვარაკი, მართვე“: “დაკლან ჯბოი იგი წინაშე უფლისა“ (აბულაძე 1973), შდრ. საბა: „**ჯბო** - ზროხის შვილი“. მთის დიალექტებში გვაქვს ვარიანტი **ჯბო** (მრ.რ. **ჯბორ-ებ-ი**); თუშ. **ჯბოი** „ხზო“; ქართლ., კახ... - **ხზო** // **ხზორ-(ებ)**; იმერ. **ხზოი** // **ხფოი** // **ხპოი** // **ხმო**; გურ. **ხზო** // **ფხოი** // **ხფოი**; ლეჩხ. **ხზო** // **ხპო** // **ხფო** // **ხმო**; აჭარ. **ხობ-ი** (მრ. რ. **ხბიები**, **ხობოები**, **ხობუები**) // **ხაზო** // **ხფო** // **ხპო**; იმერხ. და ინეგოლ.: **ხობო** // **ჯბო** // **ხზო** (მრ. რ. **ხობიები** // **ხბიები**. აჭარულისა და იმერხეულის გარდა, არცერთ დიალექტში არ გვაქვს თანხმოვანთგამყარი **ო** ხმოვანი,

რაც მეტად მნიშვნელოვანია მთლიანად სიტყვის ისტორიისათვის. ამ სიტყვის სინონიმებია: ხევსურ. **ვეჩუა** და **ენწუა** „ხბო (ბავშვის ენაზე)“. ზ. სვან., ლაშხ. **ღაბნა**, ლენტეხ. **ღაბენა** „მოზვერი“, მეგრ. **ქაბულა** // **ქაბგლა** // **ქაბლა** „მოზრდილი ხბო; უშობელი“...

დიალექტებში უხვად არის უპირატესად ხმაბაძვითი და კნინობით-ალერსობითი კონოტაციის მქონე ხბოს აღმნიშვნელი სხვა სიტყვებიც. მაგ.: **ბოჩოლა** „გამოზამთრებული ზროხა“ (საბა); ჯავახ. **ბოჩოლო** // **ბოჩოლა** „მეორე წელში გადამდგარი ხბო“; თიან., ფშ. **ბოჩოლა**; რაჭ. ქიზიყ. **ბოჩიკი** „ზამთარგამოვლილი ხბო, ბოჩოლა“ და ქართლ. **ბოჩიკა** „ხბო 1-დან 2 წლამდე“; მოხ. **ბოდიჩა** „1 წლის მოზვერი“, **ბოჩიკი** „წლის ირემი“ (საბა); ლაზ. **პეკენა**, მეგრ. **კოკია** // **კოკინია** // **კოტინია** „ხბო (ეძახიან ძროხასაც)“; იგივე **კოკია** და **კოკინია** დასტურდება ქვემოიმერულშიც. **კოკინია** // **კოკინიე** (ლექს.) „ხბო“, მოფერებით; სვან. **კოკინოლ** (-ოლ კნინობით-ალერსობითის მაწარმოებელი ფორმანტია)...

თავი II

პირუტყვის აღნაგობის აღმნიშვნელი ლექსიკის გავრცელება

მეორე თავში აღწერილია პირუტყვის აღნაგობის აღმნიშვნელი ლექსიკის გავრცელების სურათი. დიალექტებში მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი პირუტყვის ანატომიური თავისებურებების, თმიანი საფარის შეფერილობის ამსახველი სპეციფიკური სიტყვები (როგორც საერთოქართველური, ისე გვიანდელი და სხვა ენათაგან ნასესხები ლექსიკა). ხშირად ესა თუ ის ლექსიკური ერთეული სხვადასხვა ხარისხის ფონეტიკური და სემანტიკური სხვაობით არის გავრცელებული დიალექტთა უმრავლესობაში, კილოთა ჯგუფში, თუ ცალკეულ მიკროსამეტყველო ერთეულებში. მათი გავრცელების გეოგრაფიის დადგენა სრულ სურათს შექმნის ქართული ენისა და მის

10

დიალექტთა სრულყოფილი ისტორიის დასადგენად, მსგავს და განსხვავებულ ენობრივ პროცესთა აღწერისათვის.

პირუტყვის აღნაგობის ამსახველი ლექსიკის დიდი ნაწილი საზიაროა გარეულ ცხოველ-ფრინველთა და ადამიანის ანატომიასთან დაკავშირებულ ლექსიკასთან (**თავი, ფეხი, თვალი, ტანი, სახსარი, გული, ფილტვი, კუჭი...**). ვამჯობინეთ ამ სიტყვათაგან იმათი განხილვა, რომლებიც საყურადღებოა პირუტყვის აღნაგობის სიტყვიერი დახასიათების სრულად ასახვისათვის. მაგალითად: **ჩლიქი** არის „ფერჯთგანპებულთ ფრჩხილი“ (საბა). იგივე სიტყვა გამოიყენება ამჟამინდელ სამწიგნობრო ენაშიც და მრავალ დიალექტშიც, ხოლო მოხეურში **ჩლიქი** ძველად გადატანით ფეხსაცმელსაც რქმევია. ამ სიტყვის ფონეტიკური ვარიანტებია მეგრ. **ჩირქე** და **ჩორქო**. მეგრულშივე არის **ჩორქოლო** „ცხენის წინა ფეხი; ადგილი ქაჩაჩს ზევით, სადაც ბორკილს ადებენ ხოლმე“ (გ. როგავა). შდრ. აჭარ., გურ. **ჩლოქო** „ჩლიქი“, სვან. **ფო-ჩლივ** „ფლოქვი და ჩლიქი“ (კ. დონდუა), ამ სიტყვის ფონეტიკურ ვარიანტად უნდა მივიჩნიოთ ძველ ტექსტებში დადასტურებული **ქლაკი** „თათი. „ქლაკი მისი არა განპებულ არს“ (ი. აბულაძე), აგრეთვე დიალექტთა ჯგუფში წარმოდგენილი შემდეგი ფორმები: აჭარ., მესხ., ჯავახ. **ქლივი** „ფეხის ნაწილი კოჭიდან მუხლამდე“, რაჭ. **ქლიკვი // ქლივი** „ჩლიქი“.

დიალექტებში მრავლად გვხვდება **ბგერითი შედგენილობითა და მნიშვნელობით ახლომდგომი ლექსიკა, რომელიც არ აღდგება საერთოქართველურ დონეზე**. მაგალითად, **ყელის, ხორხის** აღმნიშვნელად დიალექტებში მრავალგვარი ვარიანტი არსებობს: იმერ. **ყრონტი // ყრონჭი** „ყელი; ხორხი“, გურ. **ყლონჭი // ყორყინტი // ყორყინტე** (< ***ყორყინტაი**) „ყელი, ხორხი“, გურ.**ყორყი //** მეგრ. **ყერყი** „ყელი“, ბალსხ. **ყერყინჯ //** ლაშხ. **ყყერინჯ // ყყერინჯ //** ლენტეხ. **// ყყერინტ** „ხორხი; ყრონტი“, მეგრ.**ყორყელი** „ყელი“...

თავი III

შინაურ ცხოველთა შეფერილობის აღმნიშვნელი ლექსიკის გავრცელების გეოგრაფია

მესამე თავში აღნუსხულია შინაურ ცხოველთა შეფერილობის აღმნიშვნელი ლექსიკის გავრცელების გეოგრაფია. სამწიგნობრო ქართულ ენასა და დიალექტებში განსაკუთრებულ ფენას ქმნიან ის სიტყვები, რომლებიც შინაურ ცხოველთა კანისა თუ ბალნიანი საფარის ფერს აღნიშნავენ. დაკვირვება გვარწმუნებს, რომ ამ ფენის შემადგენელ ლექსიკაში, რა თქმა უნდა, გამოიყენება ფერების გამომხატველი ის ჩვეულებრივი სახელწოდებანი, რომლებიც ნებისმიერი სხვა საგნის ფერის აღმნიშვნელადაც გვხვდება: **თეთრი**, **შავი**, **წითელი**, **ნაცრისფერი**, **ჭრელი** და ა.შ. მაგრამ ცხოველების ფერის გადმოცემის თვალსაზრისით სპეციფიკას ქმნიან ის სიტყვები, რომელთა ნაწილი სხვადასხვა სიტყვათმწარმოებელი აფიქსების დართვითაა ნაწარმოები ფერთა უკვე დასახელებული ჩვეულებრივი სახელებისაგან (**თეთრ-ა**, **თეთრ-ონ-ი**, **შავ-ია**, **წითლ-ან-ა...**), ანდა წარმოადგენენ სპეციალურად ცხოველთა შეფერილობის აღმნიშვნელ სახელწოდებებს. ამ ორი ჯგუფიდან პირველი უფრო ხშირად ონომასტიკონის საგანგებო ჯგუფს - **ზოონიმებს** წარმოადგენენ და ცხოველებისათვის ისეთივე საკუთარი, ინდივიდუალური სახელებია, როგორც ანთროპონიმებია ადამიანისათვის. რაც შეეხება მეორე ჯგუფს, მისი წევრი სიტყვები საზოგადო სახელებიცაა და საკუთარიც. შეფერილობის ლექსიკაშიც გამოიკვეთა **უმველესი ფენა**, **საერთოქართველური ლექსიკა**, რომელიც დიალექტებში წარმოდგენილია როგორც იდენტური ბგერითი სტრუქტურითა და საერთო მნიშვნელობით, ისე ფონეტიკურად სახეცვლილად და/ან მეტ-ნაკლები სემანტიკური სხვაობით. მაგალითად, სიჭრელის ამსახველი

ლექსიკიდან ვარიანტებად არის წარმოდგენილი: სვან. **ჭერამ** “ჭრელი, თეთრნარევი ძროხის სახელი”; რაჭ. **ჭემარო** „ჭრელი, ფერადი საქონელი“; აჭარ. **ჭერემაი** “ჭრელი საქონელი“; მთიულ., ფშ. **ჭერემა** „ვეფხვივით ჭრელი საქონელი“. ამ ვარიანტებს უახლოვდება ქართლ. **ჭრომახი** „ჭრელი ძროხა“, აჭარ. **ჭრომახაი** „ჭრელი“. მიახლოებული სემანტიკის მქონე სინონიმებია: იმერ. **ტიგურა** // **ტიკურო** „უმნოდ აჭრელელებული პირუტყვი“; თუშ. **ჯავარაყნ** „ვეფხვისნაირად ზოლებიანი ძროხა, ხარი“; მესხ. **ჯორო** “ჭრელი საქონელი“; მეგრ. **კორობა** „ზოლებიანი, ვეფხვივით ჭრელი“. შდრ. **ჭარგა, ჭუბურა...**

თავი IV

პირუტყვის მდგომარეობისა და ნირის (ზნის, ქცევის) აღმნიშვნელი ლექსიკა დიალექტებში

მეოთხე თავში განიხილება პირუტყვის მდგომარეობისა და ნირის (ზნის, ქცევის) აღმნიშვნელი ლექსიკა. ამ ჯგუფშიც გამოიყოფა საერთოქართველური ძირ-ფუძეებისაგან ნაწარმოები ლექსიკაც და ის სიტყვებიც, რომლებიც არ აღდგება საერთოქართველურ დონეზე. აქვეა სხვა ენათაგან ნასესხები ლექსიკაც. საერთოქართველურ დონეზე აღადგენენ გარკვეული ფიზიკური ნაკლის მქონე ცხვრის აღმნიშვნელი **ხულ**- ძირისაგან ნაწარმოებ დიალექტურ ლექსიკას: ხევს. **ხულია** „ურქო ცხვარი“; ფშ., თუშ., ხევსურ., კახ. **ხულა** „მოკლეყურიანი ან უყურო ცხვარი“. სახელური **ხულ**-ძირი მხოლოდ ქართულის ნიადაგზე გამოიყოფა. იგი წარმოადგენს ერთ-ერთ არქაულ ფორმას, რომელიც ცხვრის მნიშვნელობით გამოიყენებოდა. დასახელებულ დიალექტურ მასალასთან სემანტიკურად ახლომდგომია მთიულ., ფშ., კახ. **ხულა** „ყურებდაჭრილი ცხვარი, ბატკანი ან თხა“; „მოკლეყურიანი ან სრულიად უყურო ცხვარი“. თუშურში არსებობს ვარიანტი **ხულაყნ** „უყურო ცხვარი“. აჭარულში **ხულა** არის „ურქო ცხვარი“. **ხულა** სიტყვის სინონიმებია:

სამწიგნობრო ენის ყურა „1. ყურიანი; 2. უყურო“ და ქარა „უყურო ცხვარი“ (საბა), აგრეთვე თუშ. ქურა „პატარაყურებიანი თხა, ურქო ცხვარი“; შდრ. ქართლ. ქურა „მოკლეყურებიანი ან მოკლერქებიანი ცხვარი“...

თავი V

რძისა და რძის პროდუქტების დიალექტური სახელები

რძისა და რძის პროდუქტების დიალექტური სახელებია განხილული მეხუთე თავში. დიალექტთა უმრავლესობაში დასტურდება ამოსავალი არქექტივისაგან კანონზომიერი ფონეტიკური ცვლილებების გზით წარმოქმნილი, ბგერითი სტრუქტურით მცირედ განსხვავებული და მნიშვნელობით ერთნაირი საერთოქართველური ლექსიკა. აქ წარმოვადგენთ ერთ მაგალითს: არსებობს მოარული მოსაზრება მაწონი სიტყვის სომხური წარმომავლობის შესახებ, რაც არ არის არგუმენტირებული. გ. გვანცელაძის ზეპირი ცნობით, სომხური მაწუნ „მაწონი“ სიტყვა უფრო ჩანს ქართულიდან ნასესხები, ვიდრე პირუკუ: აქ გასაღებს გვაწვდის მეგრულში არსებული ვარიანტები: მარწვენი // მარწვინი „მაწონი“, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ სიტყვა უნდა უკავშირდებოდეს წველა ზმნას. საანალიზო სიტყვის ისტორია ასე წარმოიდგინება: *ნაწუელი > *მაწუელი > *მაწუენი > მაწონი > მეგრ. მარწვენი > მეგრ. მარწვინი. რაც შეეხება სომხურ მაწუნ ვარიანტს, იგი ქართული მაწონი ფორმისგან მომდინარეობს ო > უ პროცესის შედეგად (გ. გვანცელაძე).

დიალექტებში გავრცელებულია მეზობელ ენათაგან ნასესხები ლექსიკა. მაგალითად, აჭარულ დიალექტში ნასესხები სიტყვები ძირითადად თურქული ენიდან არის დამკვიდრებული. ესენია: სუზმე, ჩოროთანნი, ჩოქელეგი, კაიმალი//ყაიმალი, აღართი, ყურუთი, ჰაირანი // აირანი და ა.შ.

თავი VI

რძის პროდუქტებთან და მესაქონლეობასთან დაკავშირებული ჭურჭლისა და ინვენტარის აღმნიშვნელი ლექსიკის გეოგრაფია

რძის პროდუქტებთან და მესაქონლეობასთან დაკავშირებული ჭურჭლის აღმნიშვნელი ლექსიკაა წარმოდგენილი მეექვსე თავში. ქართველი ხალხის საოჯახო და სამეურნეო ყოფაში პრეისტორიული ხანიდანვე იყენებდნენ ხისა და თიხის ჭურჭელს. ქართული ენის დიალექტების მეცხოველეობის ლექსიკის ენათმეცნიერული კვლევის დროს გამოიკვეთა ჭურჭლის ნაირგვარი სახეობა, რომელთა უტილიტარული დანიშნულების პარალელურად ვიგებთ ხალხის, სხვადასხვა კუთხის, კულტურის ისტორიას. საქართველოში რძის პროდუქტებთან დაკავშირებული ჭურჭელი ფუნქციის მიხედვით შესაძლებელია დაიყოს საწველელ, რძის პროდუქტების დასამზადებელ და შესანახ ჭურჭლად. მაგალითად, საწველელი ჭურჭლის სახელებია: **დურაკი // დურკა** (თუშ.), **კასრი** (აჭარ., თუშ., იმერხ.), **კოდი** (ფშ., ქართლ., ქიზიყ., ხევს., მთიულ., გუდამაყრ., მოხ., აჭარ., იმერხ.)... დიალექტებში არის **იმ ჭურჭლის სახელები, რომლებიც მეცხოველეობას უკავშირდება, მაგრამ უშუალოდ რძის პროდუქტების დასამზადებლად არ გამოიყენება**. მაგალითად, დიალექტებში ერთმანეთის მსგავსი სემანტიკა აქვთ სიტყვებს: **ქეზო** (იმერ., გურ.) „ტყავის პარკი, ჩანთა, რომელშიც საგზალს ინახავენ“; მეგრ. **კვანჩა** „თხისა და ცხვრის ტყავი, ბეწვიანი“; „თხის ტყავი, მწყემსები იყენებენ ჩასაცმელად“; „ცხვრის მოქნილი ტყავი, მწყემსები იყენებენ დასაგებად“; „ხის ტახტი მწყემსის კარავში“ **კვანჩა // ქეზო** (აჭარ.) „თხის ან ცხვრის ტყავისაგან შეკერილი მოსაცმელი“; „ცხენის, თხის ან ხბოს ტყავი“; თხის ან ცხვრის ტყავისაგან შეკერილი ჟილეტისებური მოსაცვამი“...

საქართველოს კუთხეებში მოიპოვებოდა პირუტყვის წყლის დასალევი ვარცლი, მრგვალი გულამოდებული მორი, რომლის სახელწოდებები ბგერითი შედგენილობით ხშირად განსხვავებულია: **ორე** (გურ., რაჭ.), **სარნა // ავაზანი** (ფშ., ზ. იმერ., აჭარ., მესხ., ინგოლ.) „წყაროსთან დადგმული დიდი ხის ჭურჭელი,

გამოიყენებოდა ყურძნის დასაწურად. 2. ხის ჭურჭელი, რომელიც მეწველ ძროხებს თბილ საკვებს უსხამდნენ“; **ისარნა** (ხევსურ.) „ამოღარული გრძელი საკმაოდ მსხვილი ძელი, რომლიდანაც ცხვარს მარილს აჭმევენ“. მამასადაძმე, ძველი ქართული **ისარნა** (საბა1991: 336), **ისარნები** (ილ. აბულაძე, ნ. ჩუბ.) ხევსურულში უცვლელადაა შემონახული. **ბოლონა** (ლაზ.) „ხის გრძელი მორი, ამოჭრილი საქონლისათვის წყლის დასალევად“; **ბეცე // როფე // გეჯა // ბეცე** (მეგრ.) „გრძელი ხე, გათლილი და სიგრძეზე ამოღარული საქონლის დასარწყვლებლად“; **ჯარა // ჯერა** (აჭარ., იმერხ.), **ჭურუმი, ჭურუნი** (იმერხ., მესხ.) „აუზი, ავაზანი საქონლის წყლის სასმელად“; **ჯიროლი** (რაჭ.) „საქონლის წყლის სასმელი ხის დიდი ჭურჭელი“; **როფე // როფი** (აჭარ., გურ., ლეჩხ.) „ღრმა ვარცლი საქონლის საკვების ჩასაყრელად“, იმერხეულ დიალექტში **როფი** არის „ხელგობი (პატარა გობი)“; **ონჯარო** (იმერ.) „როფი საქონლის საჭმლის ჩასაყრელად; პარკი, რომლითაც საკვებს ამღევენ ცხენს, ჩამოკიდებენ თავზე“.

მეცხოველეობასთან დაკავშირებული ჭურჭლის ლექსიკაში გვაქვს სხვა ენებიდან **ნასესხები სიტყვები**.

თავი VII

პირუტყვის სადგომთან დაკავშირებული დიალექტური ლექსიკა

პირუტყვის სადგომთან დაკავშირებული დიალექტური ლექსიკა გაანალიზებულია **მეშვიდე თავში**. გეოგრაფიულად დაცილებულ დიალექტებში დასტურდება პირუტყვის სადგომის საერთო სახელწოდებები: **ქართა, ბოსელი, გომი, გომური, ახორი, ჯარგვალი, ბაკი, ფარეხი, თავლა, საჯინიზო, მანდრე (თავლა)** და სხვ. რომლებიც ძირითადად ხისგან, ან ქვისგან შენდებოდა, ამ ფონდის ლექსიკაში არის საერთოქართველური და სხვადასხვა ენიდან **ნასესხები სიტყვები**. მაგალითად, **ბაგა** სიტყვას დიალექტური სინონიმები მოეპოვება: ხევსურულსა და

მთიულურში **ხინდახორი** „თავლა“; მოხეურში **ჯინდაჯორი** „ბოსელი, თავლა“; აჭარულში **საპირო**, იმერულში **საპირე** „საქონლისთვის საკვების ჩასაყრელი კიდობანი“; გურულში - **პირისბაგა**. ლაზური სინონიმებია: **მისური // ომისურა// ომონქსურა//ომოქსურა** და **ქვინახარი**. ლეჩხუმურში ცხენის ბაგას **ქილახვარი** ჰქვია, მეგრულში არსებობს **ფინახარი**, შდრ. იმერული **ქვინახარი** „ბაგა, ადგილი, სადაც საქონელს საჭმელს აჭმევენ“...

თავი VIII

ზოონიმები ქართველურ დიალექტებში

მერვე თავში გაანალიზებულია **ზოონიმები**. ყველა ქართველურ დიალექტში ძალზე გავრცელებულია შინაურ ცხოველთა „პასპორტიზაცია“ სხვადასხვა წესითა და სხვადასხვა აფიქსებით გაფორმებული **საკუთარი სახელებით, ანუ ზოონომიმებით**. სამწუხაროდ, ზოონიმთა სრულად აღწერა პრაქტიკულად უძნელესი საქმეა, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში მაინც არის აღნუსხული და გაანალიზებული როგორც მათი სახელდების მოტივაცია, ისე მორფოლოგიური თავისებურებები. ჩვენ, ბუნებრივია, ვერც შევძლებდით და მიზნად არც დაგვისახავს ამ ლექსიკის სრულად აღწერა მათი გავრცელების გეოგრაფიის ნიშნით. წარმოვადგინეთ მხოლოდ იმ ზოონიმების ნაწილი და ინფორმაცია მათი ლოკალიზაციის შესახებ, რომლებიც აღნუსხულია სპეციალურ ლიტერატურაში. ამ სახელებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მათი უმრავლესობის ეტიმოლოგია გამჭვირვალეა და ზოგჯერ ჭირს იმის გადაჭრით თქმა, ესა თუ ის სიტყვა ნამდვილი ზოონიმია, თუ საზოგადო სახელი. მსგავსების, ან რისამე ქონების აღმნიშვნელი -ა სუფიქსითაა გაფორმებული შემდეგი ზოონიმები: **ჯეირან-ა** (აჭარ.) „ყელ-

მოდერებული საქონელი“; **ალისტან-ა**, **ჯუმარდ-ა** (აჭარ.) „ხარის სახელები“; **ირემ-ა** (გურ.) „ხარის სახელია“; **ქერ-ა-ი** (სვან.) „ქერა“ (ხარის სახელია); **ქორ-ა** (ფშ. ხევს.) „თეთრი ხარი“; „რქათეთრი ხარი“; **ფესანგ-ა** (ფშ.) „თეთრხალიანი ხარი“; **შექარ-ა** (მთიულ.) „ორბისფერი ხარის სახელია“; **მანძილ-ა** (ხევს.) „ხენას ნაჩვევი ხარი“; **ცხეკურ-ა** (ლეჩხ.) „ცეკურა, წითელი და თეთრი ფერით ჭრელი ხარის სახელია“; **ჯურჯ-ა** (ფშ.) „დიდი, ზორბა, უზარმაზარი ხარი“; **ცალთ-ა-ი** (მოხ.) „ცალი ხარი“, გადატ. „უტვირთო“; **ბუსკ-ა** (მეგრ.) „ხარის ან კამეჩის სახელი“, შდრ. ქიზიყურში **ბუსკენა** ბავშვის ან პატარა ცხოველის ძალზე გაძლომა; **ბუსკუნჩულა** (იმერ.) „ჩასკვნილ-ჩასუქებული, ჩამრგვალებული; **ბუსკუნჭულა** (გურ.) „დაბალი ტანის, ჩაფსკვნილი“, აჭარ. **ბუსკულა** „ბუთხუზაა“; იგივე ფუძე **ბუსკ** გამოხატავს სხვა მნიშვნელობასაც: იმერული **ბუსკნაობა** „საქონლის თავ-რქით ჭიდაობა“, შდრ. **ბუსკუნაყობა** (თუშ.) „კოტრიალი“; **კობტ-ა-ი** (მესხ.) „საქონლის სახელი“...

სხვადასხვა ენიდან **ნასესხები ზოონიმური ლექსიკა** დიალექტებში შეიძლება სრულიად იდენტური, ან განსხვავებული ბგერითი შედგენილობით იყოს წარმოდგენილი. სიტყვები ზოგჯერ უცვლელადაა შემოსული გამსესხებელი ენიდან, ხშირად კი სერიოზულადაა შეცვლილი ერთ, რამდენიმე, ან ყველა დიალექტში.

დასკვნა

ჩვენ მიერ განხილული ემპირიული მასალა საფუძველს გვაძლევს შემდეგი დასკვნების გამოტანისათვის:

1. ენათმეცნიერთა თაობების მიერ ყველაზე უკეთ შესწავლილი და დოკუმენტირებულია საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებში გავრცელებული დიალექტებისა და უფრო მცირე ტერიტორიულ ვარიანტებში გავრცელებული უმდიდრესი ლექსიკა, რომელიც უკავშირდება მესაქონლეობას. ამ მიმართულებით უფრო ნაკლებად არის შესწავლილი თურქეთის რესპუბლიკაში, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, ირანის ისლამურ რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციაში (პლასტუნკა, ნალჩიკი, ვლადიკავკაზი, ყიზლარი, მოზდოკი) კომპაქტურად მცხოვრებ ქართველთა მშობლიური დიალექტები და მათი მიკროვარიანტები. ეს ფაქტი სერიოზულ ნაკლს წარმოადგენს დიალექტური ლექსიკის გავრცელების სრული სურათის დასადგენად და დიალექტური ატლასის შესაქმნელად;
2. არსებობს ზოგი ქართველური დიალექტის ლექსიკის ამსახველი ვრცელი ლექსიკონები და ტექსტები, მაგრამ ჯერ კიდევ არ შედგენილა დიალექტთა ერთი ნაწილის თუნდაც საშუალო სისრულის ლექსიკონები და არ გამოქვეყნებულა ტექსტების კორპუსი, რაც ასევე ხელს შეუშლის სრულყოფილი დიალექტოლოგიური ატლასის შექმნას;
3. დადასტურდა, რომ მესაქონლეობასთან დაკავშირებული დიალექტური ლექსიკის ძალიან დიდი ნაწილი წარმოქმნილია საერთოქართველური ენის კუთვნილი ძირებისაგან სხვადასხვაგვარი ფონეტიკური პროცესების ამოქმედების შედეგად, განსხვავებული მორფოლოგიური ინვენტარის გამოყენებით და/ან სემანტიკის მეტნაკლები ცვლით (სემანტიკის გადაწევა, დავიწროება, ან გაფართოება). შესაბამისად, შეიძლება გამოიყოს საერთოქართველური წარმომავლობის სიტყვათა **ფონეტიკური დიალექტური ვარიანტები, მორფოლოგიური დიალექტური ვარიანტები და სემანტიკური**

დიალექტური ვარიანტები, თუმცა არცთუ იშვიათად დიალექტური ფორმები შეიძლება მიღებული იყოს ორი (ფონეტიკურ-მორფოლოგიური, ფონეტიკურ-სემანტიკური, მორფოლოგიურ-სემანტიკური), ან სამივე ფაქტორის მოქმედებითაც.

4. ძალზე ფართოა მესაქონლეობასთან დაკავშირებულ საერთოქართველური წარმოშობის სიტყვათა გავრცელების გეოგრაფიული არეალი: იგი ხშირად თითქმის ყველა დიალექტს, ან დიალექტთა უმრავლესობას მოიცავს.

5. პრაქტიკულად ყველა დიალექტში აღმოჩნდა წარმოდგენილი მეცხოველეობის ის ლექსიკაც, რომელიც ვერ ადის საერთოქართველური ენის არსებობის დონემდე, მაგრამ არც ნასესხები უნდა იყოს და გავრცელებულია დიალექტთა მცირე ჯგუფში, თუ მხოლოდ ერთ დიალექტში. ლექსიკის ეს **ლოკალური ჯგუფები** ქრონოლოგიურადაც ახალი უნდა იყოს. ყურადღებას იპყრობს ის შემთხვევები, როცა ერთსა და იმავე დიალექტს მოეპოვება ერთი და იმავე სიტყვის რამდენიმე ვარიანტი და არ ჩანს ამ ვარიანტთა გავრცელების შემზღუდავი გეოგრაფიული საზღვრები. მაგალითად, მეგრულში უნაგირის ცნებას სიტყვა **უნაგირის** 12 ფონეტიკური ვარიანტი გამოხატავს (მ. ბუკია).

6. ფონეტიკური, მორფოლოგიური, სემანტიკური და კომპლექსური ვარიანტები აქვს სხვა ენებიდან შემოსულ მესაქონლეობის ლექსიკასაც. მრავალი უცხოური წარმოშობის სიტყვა გავრცელებულია დიალექტთა უმრავლესობაში იდენტური, ან განსხვავებული ფონეტიკურ-მორფოლოგიური ფორმით, თუ იგივე, ან სხვადასხვა სემანტიკით. ზოგი ნასესხები სიტყვა კი ვიწრო, ლოკალური გავრცელებისაა და შეიძლება თითო-ორი დიალექტში იყოს წარმოდგენილი.

7. გამოვლინდა ის მოსალოდნელი ფაქტი, რომ საერთოქართველური წარმოშობის მესაქონლეობის ლექსიკას ყველაზე ხშირად აქვს განცდილი ფონეტიკური ცვლილებები სვანური და ზანური ჯგუფების დიალექტებში, სხვა დიალექტებში კი ცვლილებათა

სიხშირე შედარებით ნაკლებია, თუმცა არც ისე იშვიათად ამ უკანასკნელებშიც საკმაოდ ღრმა ცვლილებები შეინიშნება.

8. ლექსიკის ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ შემთხვევებს, როცა აბსოლუტურად იგივე, ან თითქმის იდენტური ფონეტიკურ-მორფოლოგიური და სემანტიკური ვარიანტები არსებობს ერთიმეორისაგან გეოგრაფიულად ძალიან დაშორებულ დიალექტებში, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეს სიტყვები წარსულში ბევრად უფრო ვრცელ ტერიტორიაზე იყო გავრცელებული.

9. გამოვლინდა მრავალი ისეთი შემთხვევა, როცა ერთსა და იმავე ცნებას, ერთ საგანს, ან მოვლენას დიალექტებში მრავალი სინონიმი შეესაბამება, რაც ფასდაუდებელი საუნჯეა ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკის გასამდიდრებლად და გასამრავალფეროვნებლად.

სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული პუბლიკაციები

კვლევის მიმდინარეობა და მისი ძირითადი შედეგების ნაწილი ეტაპობრივად აისახა სამეცნიერო მოხსენებებსა და სტატიებში.

სადისერტაციო თემასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულია შემდეგი **სტატიები**:

1. მეცხოველეობის აჭარული ლექსიკის იზოგლოსები ქართული დიალექტის ლექსიკასთან. „ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები“, ტ. VII, თბ., 2018, გვ. 161-164;
2. რძის პროდუქტებთან დაკავშირებული კერძების ამსახველი ლექსიკის იზოგლოსები ქართული ენის დიალექტებში. „ქართვლური მემკვიდრეობა“, ტ. XXIII, ქუთაისი, 2019, გვ. 256-261;
3. ყველის სახელდება ქართული ენის დიალექტებში. „ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები“, ტ. VIII, თბ., 2019, 130-139.



**St. Andrew the First-Called Georgian University
Of the Patriarchate of Georgia**

The School of Humanities & Law

Doctoral Educational Programme Philology

With the right of manuscript

Iamze Putkaradze

**Geography of the distribution of Kartvelian vocabulary
related to the farm animals**

Submitted for the Doctoral degree in Philology

Dissertation Abstract

0232.1.3 Philology

TBILISI
2020

The dissertation work has been accomplished at the Centre of Kartvelology of the School of Humanities & Law at St Andrew the First-called Georgian University of the Patriarchate of Georgia.

Thesis Supervisor:

Teimuraz Gvantseladze - Doctor of Philological Sciences, Professor.

Official Appraisers:

Manana Tabidze – Doctor of Philological Sciences, Professor.

Merab Beridze - Doctor of Philological Sciences, Professor.

The dissertation will be defended at the Dissertation Commission session of the Philology section of the Dissertation Board of School of Humanities and Law at St Andrew the First-called Georgian University of the Patriarchate of Georgia.

The defense of the dissertation will take place on May 11, 2020, at 16:00, at the meeting of the Dissertation Commission of the Philology Section of the Dissertation Council of the School of Humanities and Law of the St. Andrew the First-Called Georgian University of the Georgian Patriarchate. Due to the state of emergency, the defense of the dissertation thesis will be held online. Involvement in the process of public defense of the dissertation thesis is available via the following link: <https://zoom.us/j/8978585107>

The thesis abstract was distributed in ----- 2020.

Scientific Secretary of the Philology section of the Dissertation Board:

Nino Mamardashvili

GENERAL DESCRIPTION OF THE WORK

ACTUALITY OF THE TOPIC

The study of vocabulary related to the animal husbandry is relevant, first of all, because urbanization is underway, the national traditions of agriculture and technology are being forgotten, foreign influence on Georgian literary language and Kartvelian dialects is growing, which leads to an accelerated expiration of this ancient field of vocabulary from use. Despite several generations of Georgian linguists have devoted themselves to and noted the vocabulary of Kartvelian dialects, village by village, we do not have complete dictionaries for all dialects yet. Moreover, some dialect dictionaries even have not been compiled and published in separate books. The same goes to the building of dialectal texts: Some dialects are quite complete, some are forming now. Time is running out: almost every day large groups of vocabulary are lost, including the vocabulary of the animal husbandry.

THE MAIN OBJECTIVES AND GOALS OF THE RESEARCH

